# რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაპოვარი

**სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა:** აკრობატიკა. „ოქრო“ — ვაჟთა ოთხეული (ოლეგ სლივკოვი, ვახტანგ ბოტკოველი, გია ალაპიშვილი, გოდერძი ახობაძე); „ბრინჯაო“ — ქალთა სამეული (ინგა გიორგობიანი, მარინე შალაშვილი, ნატალია ანისიმოვა). ● წყალბურთი. „ვერცხლი“ — საქართველოს ნაკრები გუნდი ● აკადემიური ნიჩბოსნობა „ვერცხლი“ — ორადგილიანი ნავი, [illegible] ლელი უმესაჭოდ; „ბრინჯაო“ — — წყვილმოსასმელიანი, ორადგილიანი (მსუბუქი წონა). ● ველოსპორტი. „ბრინჯაო“ — [illegible] მჭედლიშვილი (გიტი, 1000 მ). **საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი:** აკრობატიკა. „ვერცხლი“ — ქალთა სამეული (ინგა გიორგობიანი, მარინე შალაშვილი, ნატალია ანისიმოვა); „ბრინჯაო“ — ფატი სულაქველიძე (ხტომა). **ევროპის პირველობა ჭაბუკთა შორის:** კრივი. „ვერცხლი“ — ნიკოლოზ სეთური (91 კგ). **საერთაშორისო ტურნირი:** ალბენაში (ბულგარეთი) დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი მოჭადრაკე ვაჟთა შორის. 11 შესაძლებლიდან 8,5 ქულით I ადგილს თბილისელი საერთაშორისო ოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი დაეუფლა.

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები ელგუჯა ბერიშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი, დავით კაკაბაძე მოსკოვიდან, თამაზ ხარაბაძე ტალინიდან ტელეფონით გვატყობინებენ:

# სიურპრიზების ნაკრები

**თბილისელმა** გიორგი ჩოგოვაძემ, როცა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, გვითხრა, კოშკიდან ხტომაში მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებო. როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, მან დანაპირები შეასრულა. ქართველმა სპორტსმენმა თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და ბოლომდე შეინარჩუნა, თუმცა ერთხანს, როგორც იტყვიან, მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ არსენ ჯავადიანი (სომხეთი) და ვალერი ბელოვი (რსფსრ), ეს სპორტსმენები სტაბილურად მაღალ შეფასებებს იმსახურებდნენ, ცალკეული ნახტომები კი მართლაც კარგი გამოსდიოდათ, მაგრამ ჩოგოვაძესთან მაინც ვერაფერი გააწყვეს. საბოლოოდ ჩოგოვაძემ 609,18 ბალი დაიმსახურა, ჯავადიანმა — 585,68, ხოლო ბელოვმა — 582,51.

ამ სახეობაში ასპარეზობდა კიდევ ერთი თბილისელი სპორტსმენი რუსლან კორნევი, რომელმაც 537,18 ბალი მოაგროვა. ეს მაჩვენებელი შეჯიბრების მონაწილეთა შედეგებში მეშვიდე იყო, მაგრამ კორნევმა საქართველოს ნაკრებს მეათე ადგილის შესაბამისი ქულები მოუტანა. საქმე ისაა, რომ საკავშირო ნაკრების წევრები, რომლებიც ჩინეთში მიემგზავრებოდნენ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, მოსკოვში ასპარეზობის პირველ დღეებში გამოიყვანეს სარბიელზე, მაგრამ პირობა ასეთი იყო: თუ საუკეთესოთა სამეულში შევიდოდნენ, ეს სპორტსმენები მედლებს ვერ მიიღებდნენ, მათ გუნდებს კი შესაბამისი ქულები დაერიცხებოდათ.

საინტერესოა, რომ საკავშირო ნაკრების წევრებიდან საუკეთესო სპორტსმენმა ალექსეი გლადჩენკომ (ბელორუსია) 568,77 ქულა მოაგროვა. სპარტაკიადის მონაწილეთა მაჩვენებლებთან შედარებით ეს მხოლოდ მეოთხე შედეგია. ასე რომ, ჩოგოვაძე მართლაც უძლიერესი იყო, ეს კი ერთიორად სასიხარულოა.

ჯავადიანის წარმატების გამო სიხარულს ვერ მალავდა წინა სპარტაკიადაზე ამ სახეობაში გამარჯვებული, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის პირველობათა მრავალგზის პრიზიორი დავით ამბარცუმიანი, რომელიც სპარტაკიადაზე მსაჯად იყო მოწვეული. შეჯიბრების დამთავრებისთანავე გავესაუბრეთ სახელოვან სპორტსმენს.

**⊙ გილოცავთ ჯავადიანის ვერცხლის მედალს.**

— მეც გილოცავთ ჩოგოვაძის გამარჯვებას.

**⊙ თქვენ, როგორც წინა სპარტაკიადების ორგზის ჩემპიონი კოშკიდან ხტომაში, რა აზრის ბრძანდებით სპარტაკიადის ჩატარების ახლანდელ წესზე?**

— აბა რა გითხრათ, შეხედეთ, ტრიბუნები ნახევრად ცარიელია. წინა სპარტაკიადაზე კი შეჯიბრებებს უამრავი მაყურებელი ესწრებოდა და დიდი აჟიოტაჟიც იყო. მაშინ ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი სპორტსმენი გამოდიოდა სარბიელზე, ახლა კი ასაკობრივი ცენზის გამო ასპარეზობამ ერთგვარად დაკარგა მიმზიდველობა. რაც შეეხება სპორტსმენთა გამოსვლას, პირველმა ოთხეულმა ჩინებული კლასი გვიჩვენა. ასპარეზობა გაცილებით უფრო საინტერესო იქნებოდა შეჯიბრებაში საკავშირო ნაკრების წევრებსაც რომ მიეღოთ მონაწილეობა. მაგრამ ისინი, როგორც იცით, ჩინეთში გაემგზავრნენ საერთაშორისო ტურნირზე.

**⊙ მართალს ბრძანებთ, მაგრამ ისინი ხომ ასპარეზობის პირველ დღეს წინდაწინ გამოვიდნენ სარბიელზე, შედეგებით უძლიერესი კი სამეულშიც ვერ მოხვდებოდა. ვერც იმას ვიტყვით, რომ ისინი, რაკი შეჯიბრების დებულებით მედალს ვერ მიიღებდნენ, მთელი ძალით არ ასპარეზობდნენ...**

— რა თქმა უნდა, თავიანთი ოსტატობის საჩვენებლად მათ ძალა და მონდომება არ დაუშურებიათ. მაგრამ მაინც, ვფიქრობ, ნაკრების წევრებს სპარტაკიადის მონაწილეებთან ერთად რომ ესპარეზათ, წყალში მხტომელთა შეჯიბრება ბევრად უფრო საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ეს ყველაფერი, ცხადია, ჩრდილს სრულიადაც არ აყენებს პრიზიორებს.

ახლა კვლავ განთიადელ ჩოგოვაძეს დავუბრუნდეთ. იგი საქართველოს ერთადერთი წყალში მხტომელია, რომელმაც საკავშირო სპარტაკიადების ისტორიაში ერთდროულად ორი მედალი მოიპოვა. ამასთან, ჩოგოვაძე პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი სპორტსმენია ჩვენს რესპუბლიკაში, რომელმაც მოსკოვში ამ სპარტაკიადაზე ოქროს მედალი დაიმსახურა. ისიც საინტერესოა, რომ საქართველოს ნაკრებმა საკავშირო სპარტაკიადების ისტორიაში პირველად მოიპოვა ორი მედალი.

რამდენიმე სიტყვა გუნდური პირველობის შესახებ. წყალში ხტომის მოყვარულებს ალბათ ემახსოვრებათ ინტერვიუ საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელ იური გუტიაკულოვთან, რომელთანაც საპარტაკიადო სამზადისზე გვქონდა საუბარი. მაშინ გუტიაკულოვმა გვითხრა, რომ წინა სპარტაკიადასთან შედარებით ერთი საფეხურით უკან დავიწევთ და მეხუთე ადგილს დავიკავებთო. მაშინ ვარაუდი გამოვთქვით, რომ უფროსი მწვრთნელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, დიპლომატიას მიმართავდა და თავს იზღვევდა, ვაითუ დანაპირები ვერ შევასრულეთო. ჩვენ ვფიქრობდით, რომ საქართველოს ნაკრები მეოთხე ადგილს დაიკავებდა. არც ჩვენი ვარაუდი გამართლდა, არც მწვრთნელისა — ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა ბელორუსიისა და რუსეთის ფედერაციის გუნდების შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა. საქართველოს წყალში მხტომელებს ესოდენ დიდი წარმატება ჯერ არ მოუპოვებიათ. ამიტომ უწოდებენ ჩვენს ნაკრებს სიურპრიზების გუნდს.

იხ. მე-2 გვ.





სპარტაკიადის ჩემპიონები — საქართველოს ვაჟ აკრობატთა ოთხეული (მარცხნიდან): ოლეგ სლივკოვი, ვახტანგ ბოტკოველი, გია ალაპიშვილი, გოდერძი ახობაძე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 სექტემბერი, სამშაბათი, 1986 წ.
№ 184 (9345) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მედლები, მედლები, მედლები...

**საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ბოლო სტარტებმა საქართველოს სპორტულ დელეგაციას რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა, რაც, რა თქმა უნდა, მედლების ნაკრებ ცხრილშიც აისახა. 22 სექტემბრისათვის ჩვენმა სპორტსმენებმა 31 სხვადასხვა ღირსების მედალი დაიმსახურეს, რაც საერთო ცხრილში VII ადგილს შეეფარდება, ამ, ოქროს მედლების რაოდენობით კი ჩვენები V ადგილზე არიან. თუმცა ყველაფერი ეს უფრო ნათლად ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ჩანს:**

| | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| რუსეთის ფედერაცია | 70 | 49 | 45 | 164 |
| უკრაინა | 48 | 54 | 41 | 143 |
| ბელორუსია | 24 | 29 | 36 | 89 |
| მოსკოვი | 27 | 29 | 30 | 86 |
| ლენინგრადი | 15 | 11 | 22 | 48 |
| ყაზახეთი | 8 | 8 | 16 | 32 |
| საქართველო | 16 | 5 | 10 | 31 |
| უზბეკეთი | 8 | 8 | 8 | 24 |
| აზერბაიჯანი | 5 | 6 | 8 | 19 |
| ლიტვა | 4 | 4 | 9 | 17 |
| მოლდავეთი | 2 | 6 | 8 | 16 |
| ესტონეთი | 3 | 8 | 4 | 15 |
| ლატვია | 5 | 4 | 5 | 14 |
| სომხეთი | 3 | 6 | 5 | 14 |
| ყირგიზეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| ტაჯიკეთი | — | 3 | — | 3 |
| თურქმენეთი | — | 1 | 1 | 2 |

**როგორც საქართველოს სპორტული დელეგაციის შტაბიდან შეგვატყობინეს, 22 სექტემბრისთვის ჩვენს რესპუბლიკას 3068,5 ქულა ჰქონდა მოგროვილი, რაც საერთო სასპარტაკიადო გუნდურ ჩათვლაში VIII ადგილს შეეფარდება. ჩვენს უშუალო კონკურენტს უზბეკეთის დელეგაციას, რომელიც ამ დროისთვის VII ადგილზე იყო, მხოლოდ 70 ქულით ჩამოვრჩებით, ხოლო IX ადგილზე მყოფ ლიტვის გუნდს 84 ქულით ვუსწრებთ.**

## გარჯა დაფასდა

**გუშინ მოსკოვში, საქართველოს სპორტული დელეგაციის შტაბში რესპუბლიკის სპორტსახკომის ხელმძღვანელები შეხვდნენ სპარტაკიადის პრიზიორებს — წყალბურთელთა (მეორე ადგილი) და წყალში მხტომელთა (მესამე ადგილი) ნაკრები გუნდების თავკაცებს. შეხვედრაზე საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდების მოწმობები გადასცეს წყალბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელს ირაკლი ჩხიკვაძეს და მწვრთნელს ბორის შეგედს, წყალში მხტომელთა მწვრთნელს, გუნდის უფროსს თენგიზ კობაძეს.**

### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ძიუდოში

# გიორგი თენაძე — უძლიერესი



დაიბადა 1962 წელს გორში.
წონა 71 კგ, სიმაღლე — 177 სმ.
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თბილისის არმიის სპორტკლუბის წევრი.
მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ანზორ ქიბროწაშვილი.
დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი.
საუკეთესო შედეგები: მსოფლიო ჩემპიონი სტუდენტთა შორის, 1985 წლის მსოფლიო უნივერსიადის პრიზიორი, თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი (1985), საბჭოთა კავშირის 1985 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, საბჭოთა კავშირის 1986 წლის ჩემპიონი.

იხ. მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# ოქრო, მაინც ოქროა

მინსკში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება აკრობატიკაში. სატელეფონო ხაზზეა საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი აკრობატიკაში ილია მუჩიაშვილი.

ჯგუფურ ვარჯიშში ოქროს მედალი მოიპოვეს ჩვენმა აკრობატებმა გოდერძი ახობაძემ, ვახტანგ ბოტკოველმა, ოლეგ სლივკოვმა და გია ალაპიშვილმა. თუმცა შეჯიბრების დაწყებამდე ასეთ წარმატებას არავინ ელოდა. საქართველოს აკრობატთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ანატოლი სლივკოვი (იგი ამ ოთხეულის მწვრთნელიცაა) თავის აღზრდილებს ხუთეულში მოხვედრას უგეგმავდა (თუმცა, როგორც იცით, გოდერძი ახობაძის ავადმყოფობის გამო ოთხეული კინაღამ გამოეთიშა შეჯიბრებას), მაგრამ ფინალში, სადაც ჩვენი აკრობატები პირველი შედეგით გავიდნენ, ლამის ყველაფერი წყალში ჩაიყარა. ამის მიზეზი გოდერძის ახლადნაოპერაციევი ფეხი იყო. საქმე ისაა, რომ ფინალში შეჯიბრება გრაფიკიდან ამოვარდა — გაჭიანურდა. ამასობაში გოდერძის კვლავ შემაწუხებელი ტკივილები დაეწყო...

ფინალში ჩვენს უშუალო კონკურენტებს ყაზახეთის ოთხეულს პირამიდა დაეშალათ და საქართველოს ოთხეული საკმაოდ დაწინაურდა. სამაგიეროდ, მეორე ვარჯიშში ჩვენებს მოეცარათ ხელი: ხუთი უხეში შეცდომა დაუშვეს. მსაჯებმა მათი ვარჯიში 4,43 ქულით შეაფასეს. ორი ვარჯიშის შემდეგ ექვსი მეათედი ქულით ყაზახეთის აკრობატები დაწინაურდნენ. ყველაფერი მესამე ვარჯიშს უნდა გადაეწყვიტა. **ანატოლი სლივკოვის შეგირდებმა გამოცდას გაუძლეს — 68,87 ქულა მოაგროვეს და მცირე უპირატესობით გაუსწრეს ყაზახეთის სპორტსმენებს (68,78).** მესამე ადგილზეა მოსკოველთა ოთხეული — 61,24 ქულა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გოგონათა სამეული — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები: **მარინე შალაშვილი, ინგა გიორგობიანი** და **ნატალია ანისიმოვა** ფინალში მეხუთე შედეგით გავიდნენ, სპეციალისტების აზრით საშემსრულებლო ოსტატობით და ვარჯიშთა სირთულით თბილისელი აკრობატები მეტოქეებზე გაცილებით მაღლა იდგნენ და ფინალში შეეძლოთ დანაკარგის ანაზღაურება. ვლადიმერ გურგენიძის აღზრდილებმა ეს ვარაუდი ნაწილობრივ გაამართლეს — ფინალურ შეჯიბრებაში შესრულებულ პირველ ვარჯიშში ქალთა სამეულებს შორის ყველაზე მაღალი შეფასება 9,6 ქულა მიიღეს, მაგრამ ისევე როგორც ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობისას, აქაც მეორე ვარჯიშში გაფუჭეს (8,33 ქულა), **მესამე ვარჯიშში კვლავ კარგად გამოვიდნენ და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს (73,29 ქულა).** პირველ ადგილზე გავიდა რსფსრ-ის ნაკრები — 75,51 ქულა; მეორეზე—უკრაინა — 74,17 ქულა.

შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში თბილისელმა სპორტსმენებმა **კარინა ხარჭიხიანმა და ჰამლეტ ლარიბოვმა** მხოლოდ მე-6 ადგილის დაკავება შეძლეს — 71,38 ქულა. აქ პირველ ადგილზე გავიდნენ ნელი მილერი და ევგენი მარჩენკო (ლიტვა) — 77,12, მეორეზე — ირინა გრადოვა, ალექსანდრე პუსტოვალოვი (ლენინგრადი) — 76,38, მესამეზე — ვალერია ტიშლერი, ვიქტორ მიტნიკი (უკრაინა) — 75,38.

ჩვენს აკრობატთა გუნდს დაგეგმილი ჰქონდა სამი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედლის მოპოვება. მინსკში მათ სამი ვერცხლის ჯილდო ორ ოქროს მედალზე „გაცვალეს".

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ნაკრების ყველა წევრი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა აკრობატიკის სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტული სკოლის (დირექტორი მიხეილ გეგელია) აღზრდილია.

კვირას დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობა აკრობატიკაში, რომელიც სპარტაკიადის პარალელურად მიმდინარეობდა. ფინალში ჩვენი სპარტაკიადის „ოქროს ოთხეული" გოდერძი ახობაძის, ოლეგ სლივკოვის, გია ალაპიშვილის და ვახტანგ ბოტკოველის შემადგენლობით მეორე შედეგით გავიდა. სამეული — მარინე შალაშვილი, ნატალია ანისიმოვა, ინგა გიორგობიანი — მესამე იყო, ხოლო ქალთა წყვილს: —სვეტლანა მკრტჩიანი, ირინა ბაბინა — IV შედეგი ჰქონდა.

ჩვენმა ოთხეულმა პირველი ვარჯიში საკმაოდ დამაჯერებლად და კარგად შეასრულა. სამწუხაროდ, გოდერძი ახობაძეს კვლავ ფეხი ასტკივდა და მან სარბიელზე გამოსვლა ველარ შეძლო.

სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორებმა, თბილისელმა აკრობატებმა კვლავ ჩვეული ოსტატობით იასპარეზეს, თუმცა მეორე ვარჯიშში (უკვე მერამდენედ) 9,03 ქულა მიიღეს, საბოლოოდ გოგონებმა 103,34 ქულა მოაგროვეს და ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს. პირველ ადგილზე კვლავ სპარტაკიადის ჩემპიონები რსფსრ-ის აკრობატები გავიდნენ. მესამე ადგილი სპარტაკიადის მეორე პრიზიორებმა დაიკავეს. ჩვენი ქალთა წყვილი IV ადგილზეა.



**საქართველოს აკრობატ ქალთა სამეული — „ბრინჯაოს" პრიზიორი ინგა გიორგობიანი, მარინე შალაშვილი, ნატალია ანისიმოვა ასპარეზობისას.**

ხტომებში ჩვენი გუნდის ლიდერს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს გია მარმარაშვილს მწვრთნელები პირველ-მეორე ადგილს უგეგმავდნენ. სამწუხაროდ, გიამ სპარტაკიადაზე გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე ფეხი იტკინა და მისი ადგილი გუნდის სათადარიგო წევრმა **ზურაბ კილაძემ** დაიკავა. მასთან ერთად გუნდში იყო **ჯონდო მარიდაშვილი.** მოხდა ისე, რომ ზურაბი IV შედეგით გავიდა ფინალში, ჯონდომ კი მხოლოდ მეცხრე ადგილის დაკავება შეძლო. ფინალში ზურაბმა ერთი ადგილით უკან დაიხია. თუმცა, მეხუთე ადგილი (73,36 ქულა) მაინც წარმატებად უნდა ჩაითვალოს. აქ პირველი ადგილი დაიკავა ევგენი ივანოვმა (რსფსრ) — 78,77. მეორე — სერგეი მალოშტანმა (77,88), მესამე — მიხეილ ტროფიმენკომ (ორივე — უკრაინა) — 75,09.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: I — რსფსრ (350 ქულა), II — უკრაინა (338), III — საქართველო (246), IV — ლენინგრადი (202), V — ბელორუსია (178), VI — მოსკოვი (157).

საერთო სასპარტაკიადო გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა უშუალო მეტოქეებმა — უზბეკეთისა და ლიტვის აკრობატებმა შესაბამისად მე-11 (91 ქულა) და მე-14 (85 ქულა) ადგილები დაიკავეს.

# ბოლო შეხვედრის მიუხედავად

მოსკოვში „ნეპტუნის" საცურაო აუზში წყალბურთელთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი დღით ადრე ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა მოსკოვის ნაკრებმა, რომელმაც მთელი ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა. ჩვენმა ბიჭებმა შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი დღით ადრე მოლდავეთის გუნდს მოუგეს და ვერცხლის მედლები გაინაღდეს.

კვირას, ასპარეზობის უკანასკნელ დღეს, საქართველოს ნაკრები რსფსრ-ის გუნდს შეხვდა. ჩვენი გუნდისთვის ამ მატჩის შედეგს პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ამ დროს მძიმე ბრძოლებგადახდილი გუნდისთვის ძნელია საბრძოლველად განწყობა. ალბათ მიტომაც იყო, რსფსრ-ის ნაკრებთან შეხვედრაში ჩვენი ბიჭები მხოლოდ დრო და დრო რომ ავლენდნენ თავიანთ ოსტატობას. ბუნებრივია ასეთი თამაშით მოგებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. და „დინამომ" წააგო — 6:16. მარცხის მიუხედავად საქართველოს ნაკრებმა ვერცხლის მედლები სრულიად დამსახურებულად მოიპოვა და სპეციალისტთა დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

— მეტოქეებს მართლაც რომ მოსვენება დაუკარგეს ჩვენი გუნდის თავდამსხმელებმა რამიშვილმა და ბითაძემ, რომლებიც ტურნირის საუკეთესო ბომბარდირები აღმოჩნდნენ. მათ შესაბამისად 35 და 31 ბურთი გაიტანეს. რამიშვილმა ყველაზე მეტი გოლი (9) უზბეკეთის, ხოლო ბითაძემ 7 გოლი უკრაინელთა კარში გაიტანა. მათ კარგად გადასცემდა ბურთს მაჭავარიანი, ხოლო საკუთარი საჯარიმოს მისადგომებს ბრწყინვალედ იცავდა გიორგაძე. ჩინებულად თამაშობდა მეკარე კერესელიძე, რომელმაც უკრაინის, მოსკოვის, აზერბაიჯანისა და ლენინგრადის წყალბურთელებთან შეხვედრაში 4 პენალტი მოიგერია და სხვადასხვა გუნდებთან შეხვედრაში მასთან პირისპირ გასულ მეტოქეთა თავდამსხმელის იერიში რვაჯერ უვნებელყო. ჩინებულად ითამაშეს სხვებმაც, თუმცა ყველა მათგანის დასახელება შორს წაგვიყვანს.

ჩვენი გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: თბილისის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა გუნდის წევრები მიხეილ გიორგაძე (კაპიტანი), ალექსანდრე ბითაძე, დიმიტრი რამიშვილი და ვალერი მაჭავარიანი. ნაკრებში იყვნენ სხვა დინამოელებიც — გიორგი კერესელიძე, ნოდარ ჩოლარია, და გიორგი გობეჯიშვილი, თბილისის არმიელთა კლუბის წევრები — ირაკლი ლიპარტელიანი, ლევან წულაძე, მამუკა კელაურიძე, თეიმურაზ კობახიძე, მიხეილ ფანჩულიძე, თეიმურაზ ღვალაძე.

# ხუთნი მეოთხედფინალში

**მოკრივეთა** ასპარეზობაში, რომელიც „ოლიმპიისკის" სპორტკომპლექსში მიმდინარეობს, უკვე ყველა წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტები. მათ შორის ხუთი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელია. ბრძოლას განაგრძობენ ხვიჩა ხდრიანი (54 კგ), ალბერტ კაზანჯიანი (57), კონსტანტინე კოტოიანი (71), დომენტი დანელია (81), სპარტაკ ასანიძე (91). თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ კაზანჯიანმა და ასანიძემ მეოთხედფინალის საგზურები უბრძოლველად მოიპოვეს — მსაჯთა კოლეგიამ ისინი პირდაპირ მეორე ეტაპზე დაუშვა.

საქართველოს ნაკრებს პირველი გამარჯვება მოუტანა კონსტანტინე კოტოიანმა, რომლის მეტოქე იყო ლენინგრადელი რავილ ანიკაევი, თბილისელი სპორტსმენის უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ ხუთივე მსაჯმა მას მიაკუთვნა გამარჯვება.

შეჯიბრების პირველ ორ დღეს განცდილი მარცხის შემდეგ ამ მოგებას ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: თითქოს ნავსი გატყდაო, სალამოს საქართველოს მოკრივეებმა კიდევ ორი გამარჯვება იზეიმეს: თბილისელმა ხვიჩა ხდრიანმა საკმაოდ იოლად დაამარცხა ყირგიზეთის წარმომადგენელი იუსუპ მატყურბანოვი, ქუთაისელმა დომენტი დანელიამ კი თურქმენეთის ნაკრების წევრს ვლადიმერ გორენკოს აჯობა.

თანაგუნდელებს მხარი ვერ აუბეს ანზორ ჯიმშელეიშვილმა (+91) და მესტიელმა ეროსი მარგიანმა (63,5). ჯიმშელეიშვილი სერგეი ალიოშინთან (რსფსრ) დამარცხდა, ხოლო მარგიანმა მოსკოველ ალექსანდრე შჩერბაკოვს „დაუთმო" მეოთხედფინალის საგზური.

გუშინ სალამოს პირველი მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართა.

# დაგეგმილს 120 ქულით გადააჭარბეს

**კრილატსკოეს** ოლიმპიურ სანიჩბოსნო არხზე დამთავრდა სასპარტაკიადო შეჯიბრება აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ჯერ კიდევ გადამწყვეტ სტარტებამდე ცნობილი გახდა, რომ ქართველმა სპორტსმენებმა წინა სპარტაკიადაზე ნაჩვენები შედეგი გააუმჯობესეს. ქალთა და ვაჟთა ფინალურ შეჯიბრებებში ჩვენს რესპუბლიკას არასოდეს ჰყოლია 8 ნავი — 20 და 21 სექტემბერს საპრიზო ადგილებისთვის საქართველოდან სწორედ ამდენი ეკიპაჟი იბრძოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ წინა სპარტაკიადებში ჩვენმა ნიჩბოსნებმა მხოლოდ 1979 წელს მოიპოვეს ბრინჯაოს მედალი. მაშინ თავი გამოიჩინა 8-ადგილიანმა ნავმა.

ცივი, ქარ-წვიმიანი ამინდი ვაჟთა შეჯიბრების მონაწილეებს უკიდურესად ურთულებდა პირობებს და ყოველი გამარჯვება სპორტსმენებს ძალთა სრული მობილიზაციის ფასად უჯდებოდა.

ჩვენი რესპუბლიკიდან სტარტზე პირველად ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავის ეკიპაჟი გამოვიდა (მსუბუქი წონა). **აკაკი ხიზანიშვილმა** და **გენადი კიზირიამ** მთელი შესაძლებლობა ჩააქსოვეს რბოლას, უკან ჩამოიტოვეს უკრაინის, ლიტვის, მოლდავეთის ძლიერი გუნდები და III ადგილზე გავიდნენ. II ადგილზე მყოფ უზბეკეთის ნაკრებს ჩვენი ეკიპაჟი სულ 2 წამით ჩამორჩა, რბოლაში კი რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს.

ერთადგილიანი ნავებით (მსუბუქი წონა) ასპარეზობაში VI ადგილი დაიკავა **გოჩა ელქანიშვილმა.** ასევე მეექვსე იყო ორადგილიანი მოსასმელი უმესაჭო ნავის ეკიპაჟი (**ცახაბერ ელქანიშვილი, ირაკლი შუქურაშვილი, ოლეგ გუხევი, იური დერევიანკინი**).

განსაკუთრებით დიდი იყო ქუთაისელი ნიჩბოსნების მამუკა მიქაუტაძისა და გიორგი სირბილაძის წარმატება. ორადგილიანი გასაშლელი უმესაჭო ნავებით რბოლაში ჩვენმა ეკიპაჟმა შესანიშნავად აიღო სტარტი და კარგახანს ლიდერობას ინარჩუნებდა. ბოლო მონაკვეთში ჩვენს ნავს ესტონელებმა გაუსწრეს და ფინიშთან პირველნი მივიდნენ, მაგრამ **მიქაუტაძისა და სირბილაძის** ვერცხლის მედლები, ცხადია, დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

კარგად იასპარეზა ქუთაისელთა კიდევ ერთმა ეკიპაჟმა — ორადგილიანი გასაშლელი მესაჭიანი ნავებით რბოლაში **საქართველოს ნაკრები (ტრისტან ბირკაია, ვიტალი მანაგაძე, მესაჭე მამუკა ხუციძე)** IV ადგილზე გავიდა.

ჩვენი რესპუბლიკის 8-ადგილიანმა ნავმა ჯერ კიდევ ნახევარფინალურ რბოლაში მოახდინა ერთგვარი სენსაცია, როდესაც ლატვიის, ლენინგრადის, ლიტვის, მოლდავეთის გამოცდილი ეკიპაჟები ჩამოიტოვა და ფინალის საგზური მოიპოვა. მაგრამ ჩვენმა სპორტსმენებმა ეტყობა მთელი ძალები ნახევარფინალს შეალიეს და ფინალში მეექვსე ადგილზე დარჩნენ. აი ამ ეკიპაჟის შემადგენლობა: **თეიმურაზ ჯაფარიშვილი, ზურაბ ჭალაგანიძე, მერაბ ჩიქობავა, გიორგი ჩიქობავა, ნიკოლოზ ჩივაძე, მამუკა ბერიძე, ალექსეი შუნიაკოვი, ზაზა ქოიავა, მესაჭე ზურაბ ჩეჩვაძე.**

სტარტზე გამოვიდა ჩვენი კიდევ ერთი ეკიპაჟი — ე. წ. „მცირე ფინალში" მეშვიდე-მეათე ადგილებისათვის ბრძოლაში მონაწილეობდა. **ოთხადგილიანი გასაშლელი უმესაჭო ნავი — მალხაზ თუთბერიძე, პაატა სახარულიძე, პაატა ხანიკიანი, ბორის მარგიევი,** რომლებმაც ამ რბოლაში II, ხოლო საბოლოო ჯამში VIII ადგილი დაიკავა.

**ამრიგად, საქართველოს ნიჩბოსანთა ნაკრებმა დაგეგმილი 208 ქულის ნაცვლად 328 ქულა მოაგროვა და მე-10 ადგილზე გავიდა.**

## ექსპრეს-კომენტარი

**გიორგი ელგაქიძე. საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი ნიჩბოსნობაში:**

— სპარტაკიადაში ჩვენი რესპუბლიკის 10 ეკიპაჟი გამოდიოდა და შეიძლება ითქვას, ყველა სპორტსმენმა შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოავლინა. გარდა იმისა, რომ ფინალურ რბოლებში ჩვენი 8 ნავი მონაწილეობდა, ორი მედლის მოპოვებაც შევძელით. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ნიჩბოსნები მეტად ირწმუნებენ თავიანთ ძალებს და ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში წინასწარ აღარ დაყრიან ფარხმალს.

## კვარცხლბეკი:

**3000 მ. წინაღობებით.**

**1. ნიკოლაი მატიუშენკო — 8.41,15; 2. ვალენტინ მარტინიუკი (ორივე — უკრაინა) — 8.42,47; 3. ალექსანდრე ჩეპახოვი რსფსრ) — 8.42,77.**

**სიმაღლეზე ხტომა. ქალები.**

**1. ოლგა ტურჩაკი (ყაზახეთი) — 200 სმ; 2. ელენა ჩაიკოვსკაია (ბელორუსია) — 192 სმ; 3. ელენა ტოპჩინა (ლენინგრადი) — 192 სმ.**

**სიგრძეზე ხტომა. ვაჟები.**

**1. რობერტ ემიანი (სომხეთი) — 837 სმ; 2. ლეონიდ ვოლოშინი (რსფსრ) — 806 სმ; 3. ვ. მინაშვილი (საქართველო) — 802 სმ.**

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# ველოსპორტი, მშვილდოსნობა, სასტენდო სროლა, თანამედროვე ხუთჭიდი

დაიწყო სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები სატრეკო ველოსპორტში, მშვილდოსნობაში, სასტენდო სროლასა და თანამედროვე ხუთჭიდში.

**ველოსპორტი (ტრეკი).** პირველი დღის შეჯიბრება კრილატსკოეს ოლიმპიურ ტრეკზე ახალი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა 4 კილომეტრი გამოდევნებით სარეკორდო დროში (4.28,900) გაიარა.

მერე გაიმართა შეჯიბრება გიტში 100 მეტრზე (ადგილიდან). აქ ყველას რიგელმა ულდის ბრემანისმა აჯობა — 1.04,422. მეორე ადგილი წილად ხვდა აშხაბადელ ვლადიმერ სულთანოვს — 1.04,672. ბრინჯაოს მედალს თბილისელი ოთარ მჭედლიშვილი დაეუფლა — 1.05,717 (25 ქულა). მეორე თბილისელმა გოჩა ბეჟაშვილმა მე-11 ადგილი დაიკავა და გუნდს 6 ქულა შესძინა.

**მშვილდოსნობა.** ორი დღის შეჯიბრების შემდეგ საქართველოს სპორტსმენები გუნდურ ჩათვლაში მეექვსე ადგილზე არიან.

**სტენდი.** დაიწყეს შეჯიბრება მრგვალი სტენდის ოსტატებმაც. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები გუნდურ ჩათვლაში ჯერჯერობით IV ადგილზე იმყოფებიან.

**სპორტულ** ტანმოვარჯიშეთა სასპარტაკიადო ტურნირი ვაჟებმა გახსნეს. პირველ დღეს ისინი გუნდურ შეჯიბრებაში ასპარეზობდნენ სავალდებულო პროგრამით. კარგად დაიწყო ასპარეზობა ჩვენმა ნაკრებმა (ვლადიმერ გოგოლაძე, ალექსანდრე ლებედევი, ზაზა ხომასურიძე, ამირან ბერიანიძე, ნუგზარ ღვინიაშვილი, ლევან სისაური), მან უკან ჩამოიტოვა სომხეთის, მოსკოვის, ყაზახეთის ძლიერი კოლექტივები. პირველი დღის შედეგების მიხედვით საქართველოს ნაკრები 276,90 ქულით მეოთხე ადგილზეა და 0,2 ქულით ჩამორჩება ბელორუსიის გუნდს. ასპარეზობას ლიდერობს რუსეთის ფედერაციის ნაკრები — 281,25 ქულა. მეორე ადგილზე არიან უკრაინელი ტანმოვარჯიშეები — 277,90 ქულა. პირად პირველობაში ლიდერობს მსოფლიო ჩემპიონი და თასის მფლობელი გუნდურ ჩათვლაში ვლადიმერ არტიომოვი (რუსეთის ფედერაცია) — 57,55 ქულა. ლიდერს 0,6 ქულით ჩამორჩება ჩვენი ვლადიმერ გოგოლაძე. მესამე ადგილზეა ედუარდ გევორქიანი (სომხეთი) — 56,45 ქულა. ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთი წარმომადგენელი ალექსანდრე ლებედევი 55,75 ქულით მერვე ადგილზეა.

გუშინ საღამოს ბრძოლაში ჩაებნენ ქალები.

**თანამედროვე ხუთჭიდი.** 20 სექტემბერს ტალინში, ოლიმპიურ ცენტრში, სტარტი აიღო სასპარტაკიადო ტურნირმა თანამედროვე ხუთჭიდში. სპორტსმენები ჯერ გუნდურ პირველობაში ასპარეზობენ. საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოდის: ვახტანგ იაგორაშვილი, იური ვერბიცკი, რევაზ ლოხიშვილი და ანდრეი მიასიჩევი. აღსანიშნავია, რომ ორი უკანასკნელი დიდი შეჯიბრების დებიუტანტები არიან და გარკვეულად აკლიათ გამოცდილება. შეჯიბრება ჩვენმა გუნდმა წარუმატებლად დაიწყო — ფარიკაობაში გუნდმა 1404 ქულა მოაგროვა (54 მოგება) და მე-12 შედეგი აჩვენა.

მომდევნო სტარტი ცხენოსნობაში (კონკური) იყო. ამ დღეს ესტონეთის დედაქალაქში კოკისპირული წვიმა მოდიოდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხუთჭიდელები შედარებით უკეთ გამოვიდნენ, VI-VII ადგილები გაიყვეს ლიტვის გუნდთან. ახლა ჩვენს ნაკრებს 2624 ქულა აქვს და X ადგილზე იმყოფება.

გუშინ საღამოს ხუთჭიდელები ცურვაში ასპარეზობდნენ.

## საკავშირო პრესის ფურცლებზე

# ერთი, ყველაზე მთავარი ნახტომი

ფატი სულაქველიძე ასპარეზობის ფინალურ ნაწილში თავისი მეორე ნახტომისთვის ემზადებოდა. მან ხელის აწევით ანიშნა მსაჯებს, რომ მზად იყო სტარტისთვის. დასტური მიიღო თუ არა, ფატი ადგილს მოწყდა. ამ დროს ვარჯიში დაამთავრა ვაჟების ერთმა წყვილმა. აკრობატებს, რომლებიც სარბიელს ტოვებდნენ, სახტომი ბილიკი უნდა გადაეკვეთათ, მაგრამ როცა დაინახეს, რომ სულაქველიძეს სტარტი აღებული ჰქონდა, ბიჭები შეჩერდნენ. ფატიმ, როგორც ჩანს, იფიქრა რომ შეტაკება გარდუვალი იყო და თავად შედგა, მაგრამ იმავე წამს მიხვდა, რომ ასე შეიძლებოდა პრაქტიკულად უკვე მოპოვებული სასპარტაკიადო მედალი დაეკარგა და... გოგონამ ხელები აიფარა სახეზე და ატირდა.

დარბაზს ყრუ გუგუნმა გადაუარა. ახლა ყველაფერი მსაჯებზე იყო დამოკიდებული, იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ ისინი. პასუხი იგვიანებდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც მეორე ვარჯიში ყველამ შეასრულა, ინფორმატორმა მაყურებელს აუწყა, რომ სულაქველიძეს მიეცა ცდის უფლება. აღელვებული სპორტსმენი, რომელსაც ჯერ ცრემლები არ შეშრობოდა თვალებზე, კვლავ სარბიელზე გამოვიდა. მაყურებელი მხარდაჭერის გამოსახატავად ტაშით შეხვდა ბილიკზე გამოსულ ფატის. წარმატებით შესრულებული ვარჯიშის შემდეგ სულაქველიძე ოვაციებით გააცილეს.

გოგონებს შესასრულებელი დარჩათ ფინალის მესამე, დასკვნითი ნახტომი. ადგილები კვარცხლბეკზე თითქოს უკვე განაწილებული იყო: სტავროპოლელი ელენა ბუგაევა ქულანახევრით უსწრებდა მეორე ადგილზე მყოფ სულაქველიძეს. ამ სიტუაციაში არავინ ელოდა სიახლეს, მაგრამ მოხდა ისე, რომ ბუგაევამ, რომელმაც თავისი მაღალი, ზუსტი, ეფექტური ნახტომებით მოინადირა მინსკელი მაყურებლის გული, რომელსაც აქამდე, სავალდებულო პროგრამის ჩათვლით, 9,36 ქულაზე ნაკლები არ ჰქონდა მიღებული, ყველასთვის მოულოდნელად გააფუჭა ბოლო ცდა — მხოლოდ 6,36 ქულა დაიმსახურა. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი ფატი სულაქველიძე გახდა!

ე. ვესნინი,
„სოვეტსკი სპორტი“ 21.09.86 წ.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ოთხიდან — ოთხი!

თბილისი. სპორტის სასახლე. 20 სექტემბერი.
„დინამო“ (თბილისი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 89:87, 77:77 (34:33).
„დინამო“: დარსაძე (25), ტიუბინი (18), სანაძე (13), ბოროდაჩოვი (9), კაპუსტინი (8), გიორგობიანი (8), ოპოშნიანი (8), ფერიაშვილი.
„სტატიბა“: მარჩიულიონისი (25), ვაინაუსკასი (21), ვასილიუნასი (10), პენიაკასი (9), ანდრიუნასი (7), ბრაზდაუსკასი (6), გრიგასი (5), მაცკიავიჩიუსი (3), ბაზიუკასი (1), დამბრაუსკასი, ვიაკასი.
მსაჯები: ი. კოვალიოვი (გომელი) და მ. მეტასი (ტალინი).

• • •

თბილისი. სპორტის სასახლე. 20 სექტემბერი.
ვეფ (რიგა) — „დინამო“ (მოსკოვი) 85:83, 75:75 (37:44).
ვეფ: აგაპეევი (20), ვალტერსი (16), ეკობსონსი (15), დუდაროვი (12), ბაგატსკისი (10), მუუნიეკსი (6), ჩირკოვი (6), პენცისი.
„დინამო“: ფესენკო (16), სიზოვი (15), ლინდინი (12), სუხარევი (10), ჟიგილიი (9), შიშკოვი (6), ოხოტნიკოვი (6), კოჩერგინი (5), კოლიჩევი (2), კორნიშინი (2), გადოშევი.
მსაჯები: ვ. შამისი (ლენინგრადი), ბ. სოსნოვსკი (კიევი).

• • •

თბილისი. სპორტის სასახლე. 21 სექტემბერი.
„დინამო“ (თბილისი) — ვეფ (რიგა) 87:81 (42:37).
„დინამო“: ტიუბინი (21), დარსაძე (20), ბოროდაჩოვი (13), ოპოშნიანი (13), სანაძე (9), კაპუსტინი (9), გიორგობიანი (2).
ვეფ: ვალტერსი (23), ბაგატსკისი (18), მუუნიეკსი (16), კარავაევი (12), ეკობსონსი (8), დუდაროვი (2), პენცისი (2), ჩირკოვი, დრებერგსი.
მსაჯები: ი. აპოლონოვი (ლენინგრადი) და ი. კოვალიოვი (გომელი).

• • •

თბილისი. სპორტის სასახლე. 21 სექტემბერი.
„დინამო“ (მოსკოვი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 113:94 (55:41).
„დინამო“: სიზოვი (25), შიშკოვი (18), ჟიგილიი (18), ლინდინი (17), კოჩერგინი (17), ფესენკო (10), ოხოტნიკოვი (4), გადოშევი (4), კოლიჩევი.
„სტატიბა“: ვიაკასი (18), ბრაზდაუსკასი (16), ვასილიუნასი (15), ანდრიუნასი (12), მარჩიულონისი (9), ვაინაუსკასი (9), გრიგასი (6), ბუტაუტასი (5), მატკიავიჩიუსი (2), დამბრაუსკასი (2), პენკისი.
მსაჯები: ბ. სოსნოვსკი (კიევი) და მ. მეტასი (ტალინი).

**შაბათს** და კვირას თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის დასკვნითი მატჩები. კვლავ გაახარეს გულშემატკივრები თბილისის დინამოელებმა, რომლებმაც კიდევ ორი გამარჯვება იზეიმეს. მათ საბოლოოდ ოთხივე შეხვედრა მოიგეს და ჯერჯერობით უდანაკარგოდ ასპარეზობენ.

როცა ერთდროულად ორ მატჩზე გვიხდება ლაპარაკი, ერთმანეთს უნებურად ვადარებთ ამ შეხვედრათა სიუჟეტებს, მით უფრო, რომ გარკვეული ანალოგია მართლაც შეინიშნება.

დავიწყოთ იმით, რომ თბილისის დინამოელებმა როგორც ვილნიუსელებთან, ისე რიგელებთან შედარებით მძიმედ ჩაატარეს პირველი ტაიმი. ეს იმითაც გამოიხატება, რომ მასპინძლები ორივე შემთხვევაში მდევართა როლში აღმოჩნდნენ და მხოლოდ ტაიმის მიწურულს შეძლეს დაწინაურება. შესვენების შემდეგ თბილისელებმა ორივე მატჩში საგრძნობლად ჩამოიტოვეს მეტოქეები: „სტატიბასთან“ შეხვედრაში ანგარიშში სხვაობამ 11 ქულას მიაღწია, ხოლო ვეფ-თან ასპარეზობაში — 10 ქულას. ამით მთავრდება მსგავსება.

ლიტველებთან შეხვედრაში თბილისელებმა ვერ შეინარჩუნეს მოპოვებული უპირატესობა. საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე ისინი დამარცხების საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ (75:77), მაგრამ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. დაინიშნა დამატებითი ხუთწუთიანი ტაიმი. ასპარეზობა კვლავ გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ხან ერთი გუნდი გადიოდა წინ, ხან მეორე, დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. დინამოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთ რთულ ვითარებაში (თბილისელთა მდგომარეობას ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კიდევ უფრო ართულებდა ის, რომ მათ ძირითად დროში, შეიძლება ითქვას, ხელიდან გაუშვეს მოგება) ისინი არ დაიბნენ და ძალების მაქსიმალური დაძაბვის შედეგად მიაღწიეს ძნელ, მაგრამ საპატიო გამარჯვებას — 89:87.

მეორე დღეს თბილისელებმა როგორც ჩანს, გაითვალისწინეს წინა შეხვედრის გამოცდილება და მას შემდეგ, რაც რიგელებთან მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე 10 ქულის სხვაობით დაწინაურდნენ, უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ. დარჩენილ დროში ისინი საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ და მათ გამარჯვებაში წუთითაც არავის შეჰპარვია ეჭვი. საბოლოოდ — 87:81.

როგორ შეიძლება შევაფასოთ მასპინძელთა გუნდის გამოსვლა თბილისის ტურში? პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ თვით ის ფაქტი, რომ „დინამომ“ ყველა შეხვედრა მოიგო! ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი გუნდი რეალურ ძალას წარმოადგენს. სხვაგვარად, მხოლოდ ენთუზიაზმითა და გამარჯვებისაკენ სწრაფვით, საკუთარი კედლების დახმარებითაც კი შეუძლებელია ორ-ორჯერ ზედიზედ დაამარცხო კოლექტივები, რომლებიც კლასით შენზე დაბლა როდი დგანან. ასეთი შედეგის მისაღწევად აუცილებელია ოსტატობა, და საკუთარი ძალის, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, ეს ორი კომპონენტი კი ურთმანეთოდ არ არსებობს. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ თბილისელებმა ასპროცენტიან შედეგს მიაღწიეს თავიანთი აღიარებული ლიდერის ნიკოლოზ დერიუგინის გარეშე. ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ უდერიუგინოდ თამაში გუნდისთვის ტრაგედია იყო, ახლა კი დინამოელებმა შეძლეს თამაშის ისე გარდაქმნა, რომ დერიუგინის არყოფნა გუნდს თითქმის არ დასტყობია. თითქმის იმიტომ, რომ ფარქვეშ ბრძოლაში ჩვენი კალათბურთელები მაინც მოისუსტებენ, თანაც მაშინ, როცა არც ერთ ჩვენს მეტოქეს არ ჰქონდა დიდი უპირატესობა სიმაღლეში, ისინი მაინცდამაინც არც ფარქვეშ თამაშის ოსტატობით გამოირჩეოდნენ. ის, რომ ფარქვეშა თამაში ჩვენი „აქილევსის ქუსლია“, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ნიკოლოზ დერიუგინის მწყობრში ჩადგომასთან ერთად მდგომარეობა შედარებით გამოსწორდება.

სამაგიეროდ, მშვენივრად ითამაშეს უკანა ხაზის კალათბურთელებმა. განსაკუთრებით გამოვყოფთ გელა დარსაძესა და გია სანაძეს (გენადი კაპუსტინს ტრავმა უშლიდა ხელს). გარდა იმისა, რომ საიმედოდ თამაშობდნენ დაცვაში, ისინი ხშირად აღწევდნენ მიზანს შორი და საშუალო დისტანციებიდან ზუსტი ტყორცნით, რის შედეგად თითქმის ყოველთვის ყველაზე შედეგიან მოთამაშეთა შორის იყვნენ. მათ მხარს უბამდა ანდრეი ტიუბინი, რომელმაც განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა ბოლო ორ მატჩში. იმედია, რომ მომდევნო ტურისთვის, რომელიც მოსკოვში ჩატარდება (თბილისელები იქ ადგილობრივ და ალმაათელ არმიელებს უნდა შეხვდნენ) უკეთეს ფორმაში იქნებიან იგორ ბოროდაჩოვი და დავით გიორგობიანი, გუნდს კიდევ უფრო შეეჩვევა და ალბათ მეტ სარგებლობასაც მოუტანს „დინამოს“ დებიუტანტი ალექსეი ოპოშნიანი. სულ ცოტა ხნის წინ დაიწყო ვარჯიში ზურაბ გრძელიძემ, რომელსაც ტრავმა აწუხებდა... ერთი სიტყვით, გარკვეული იმედები გაგვიჩნდა, მაგრამ ეს იმედები ილუზიებში არ უნდა გადაიზარდოს. არ დაგვავიწყდეს, რომ ის, რაც იმედს გვიღვივებს, პრაქტიკულად მომავლის საქმეა. გუნდს შეუძლებელი არ უნდა მოვთხოვოთ...

ზურაბ ფოცხვერია.

# პირველი ტურის მოულოდნელობები

**მინსკსა და ლენინგრადში დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ტური.**

**მინსკი.** დაუმარცხებლად ვერც ერთმა გუნდმა ვერ იასპარეზა, მაგრამ მთავარი სიურპრიზი მაინც მოსკოვის არმიელთა წარუმატებლობა იყო. საბჭოთა კავშირის ვიცეჩემპიონმა წინა დღეს დიდი გაჭირვებით აჯობა მინსკის რტი-ს (88:84). აი, სწორედ მაშინ გახდა ცხადი, რომ არმიელთა მწყობრ მექანიზმს რაღაც ბზარი შეეპარა. მეორე დღეს მოსკოველები კიევის „სტროიტელთან“ თამაშობდნენ.

პირველი ნახევრის დასაწყისში არმიელთა ერთგვარი უპირატესობა იგრძნობოდა, მაგრამ „სტროიტელმა“ სულ მალე გაათანაბრა ბრძოლა და ტაიმი მოიგო კიდეც — 45:41. შესვენების შემდეგ უმნიშვნელო უპირატესობას უკრაინელი კალათბურთელები ინარჩუნებდნენ. ეს უმნიშვნელო უპირატესობა მატჩის მიწურულში საკმაოდ პრესტიჟულ გამარჯვებაში გადაიზარდა. „სტროიტელმა“ შეხვედრა დამსახურებულად მოიგო — 89:82.

ამ ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „სტროიტელი“ (კიევი) — ასკ (ალმა-ათა) 75:63.

**ლენინგრადი.** აქ მოგვიანებით ჩამოსულმა კაუნასის „ჟალგირისმა“ ორი შეხვედრა ჩაატარა და ორივე წააგო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჯერ კიევის არმიელებმა დაამარცხეს (91:72). მეორე დღეს კი ადგილობრივმა „სპარტაკმა“ — 85:69. უნდა აღინიშნოს, რომ „ჟალგირისმა“ ეს შეხვედრები თავისი ლიდერის არვიდას საბონისის გარეშე ჩაატარა.

მანამდე კი მასპინძლები მეორედ დამარცხდნენ უმაღლესი ლიგის დებიუტანტთან — დონეცკის „შახტიორთან“ (77:79). ტურის უკანასკნელ მატჩში ერთმანეთს კიევის არმიელები და დონეცკელი კალათბურთელები შეხვდნენ. გამარჯვება ანგარიშით 90:82 კიეველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს.

კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში ხანმოკლე შესვენების პერიოდი დადგა. ტურნირი ისევ სამ ქალაქში 9 ოქტომბერს განახლდება: თბილისის დინამოელები გაემგზავრებიან მოსკოვში, სადაც ცსკა-სა და ალმა-ათის არმიელებს ორ-ორჯერ შეხვდებიან.

კაუნასში იასპარეზებენ: „ჟალგირისი“, ვეფი, „შახტიორი“ და „სტატიბა“; კიევში კი ადგილობრივი არმიელები და „სტროიტელი“ ლენინგრადის „სპარტაკსა“ და მინსკის რტი-ს ეთამაშებიან.

პირველი წრის მეორე ტური 12 ოქტომბერს დამთავრდება.

**გათამაშების ცხრილი:**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (თბ). | 4 | 4 | 0 | 352-318 | 8 |
| „სტროიტელი“ (კ.) | 4 | 3 | 1 | 356-328 | 7 |
| ცსკა | 4 | 3 | 1 | 348-321 | 7 |
| ასკ (კიევი) | 3 | 3 | 0 | 271-238 | 6 |
| „დინ.“ (მოსკოვი) | 4 | 2 | 2 | 369-353 | 6 |
| რტი (მინსკი) | 4 | 2 | 2 | 315-306 | 6 |
| „შახ.“ (დონეცკი) | 4 | 2 | 2 | 321-336 | 6 |
| ვეფ (რიგა) | 4 | 1 | 3 | 331-352 | 5 |
| „სტატ.“ (ვილნ.) | 4 | 1 | 3 | 340-369 | 5 |
| „სპარტ.“ (ლენინ.) | 3 | 1 | 2 | 241-229 | 4 |
| ასკ (ალმა-ათა) | 4 | 0 | 4 | 286-350 | 4 |
| „ჟალგირ.“ (კაუნ.) | 2 | 0 | 2 | 141-176 | 2 |

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ძიუდოში

# ჩემპიონები პოზიციებს თმობენ

**ასპარეზობის მეორე დღეს გამოვლინდნენ გამარჯვებულები 78 და 86 კგ წონებში. საქართველოს წარმომადგენლებიდან ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა შოთა ხაბარელმა (78 კგ) და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ჯემალ მჭედლიშვილმა (86 კგ). უფრო ადრე, როგორც იცით, ოქროს ჯილდო დაისაკუთრა კობა კურტანიძემ (95 კგ).**

წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეთაგან შოთა ხაბარელი ერთადერთია, ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს რომ ატარებს. მას შემდეგ ექვსმა სპორტულმა სეზონმა ჩაიარა, მაგრამ ხაბარელს სპორტიდან წასვლაზე არ უფიქრია. ამ ექვსი წლის მანძილზე ათეულობით შეჯიბრებაში გამოსულა, აქა-იქ მარცხიც განუცდია, მაგრამ საპრიზო ადგილს მიღმა თითქმის არსოდეს დარჩენილა. მისი ოსტატობა და თავდადება, ვარჯიშისადმი დამოკიდებულება სამაგალითოა საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა წევრებისთვის, სხვათა შორის, საქართველოს ნაკრები ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდია ჩემპიონატში. აქ, მოსკოვში შოთა ხაბარელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული უნდა დაეცვა. 78 კგ წონაში კიდევ ორი ქართველი ფალავანი გამოდიოდა — ლერი ნაკანი და ენგურ გოგიჩაშვილი. ნაკანი შარშან 71 კგ წონაში გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მაგრამ, როგორც მწვრთნელებმა გვითხრეს, წონის დაკლება უჭირდა და ამიერიდან მაღალ წონაში იასპარეზებს.

პირველ წრეში ხაბარელმა ერთ წუთში შებოჭვით დაამარცხა სუმგაითელი ვიაჩესლავ დუდკინი, ნაკანმაც შებოჭვით მოუგო მაიკოპელ ადამ ხახუკს. ვაზარით გაიმარჯვა გოგიჩაშვილმა. მეორე წრეში ხაბარელი სიმფეროპოლელ ვიქტორ ჟდანოვს უნდა შეხვედროდა, მაგრამ მეტოქე საჭიდაოდ არ გამოცხადდა და ხაბარელი უბრძოლველად გავიდა მეოთხედფინალში. აქ მან იუკოთი დაამარცხა მოსკოველი ვიტალი ბუდიუკინი. შემდეგ კი კრასნოიარსკელ ვიქტორ ვორობიოვსაც მოუგო და ფინალში გავიდა. გოგიჩაშვილი მეორე წრეში ვორობიოვთან დამარცხდა. ნაკანმა კი მოსკოველ ალექსანდრე კუხარენკოსთან წმინდა გამარჯვების შემდეგ ნახევარფინალური ბრძოლა დათმო ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონთან გროზნოელ ბაშირ ვარაევთან. ერთი სიტყვით, ფინალში ძველი მეტოქეები ხაბარელი და ვარაევი გავიდნენ. შარშან ამ მოჭიდავეთა ფინალური ბრძოლა ხაბარელმა მოიგო. ჩვენს ფალავანს ადრეც დაუმარცხებია გროზნოელი სპორტსმენი, რომელსაც სპეციალისტები სწორედ ხაბარელის მემკვიდრედ ასახელებენ.

ფინალური ბრძოლა ბოლოს გაიმართა, მანამდე კი გამოვლინდნენ ბრინჯაოს მედლების მფლობელები. ლერი ნაკანი მესამე ადგილისთვის მოსკოველ გუტიუკინს შეხვდა და მტკივნეული ილეთით დამარცხდა. ხაბარელ-ვარაევის გადამწყვეტი შეხვედრა, უნდა ითქვას, უცნაურად დამთავრდა. მესამე წუთზე ჩვენს ფალავანს ფეხი დაუზიანდა და ექიმის დახმარება ითხოვა. მსაჯებმა ექიმი შეუშვეს ტატამზე, მაგრამ, როცა შოთა ბრძოლის გასაგრძელებლად მზად იყო, მოულოდნელად გამარჯვება ვარაევს მიაკუთვნეს. ერთი სიტყვით, ნამდვილი ბრძოლა არ შედგა. ოქროს მედალი პირველად გადაეცა გროზნოელ ძიუდოისტს. ხაბარელმა ვერცხლის მედალი მიიღო.

საქართველოს ნაკრებს მესამე მედალი ჯემალ მჭედლიშვილმა მოუტანა (86 კგ), ამ წონაში ორი გამოკვეთილი ფავორიტი იბრძოდა. ევროპის მრავალგზის ჩემპიონი მინსკელი ვიტალი პესნიაკი და საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონი კურსკელი ვიაჩესლავ სივცევი. როგორც მოსალოდნელი იყო ფინალში სწორედ ეს მოჭიდავეები დაწყვილდნენ. ქვეჯგუფში სივცევმა ყველა ბრძოლა ვადაზე ადრე მოიგო, პესნიაკს კი პირველივე წრეში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია გორელმა ანზორ თენაძემ. პესნიაკი მხოლოდ ბოლო წამებზე დაწინაურდა და გაიმარჯვა. მჭედლიშვილმა სტარტზე წმინდად მოუგო ქერჩელ სერგეი ზლობინს. მეორე წრეში ასევე ვადაზე ადრე დაამარცხა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში, ორჯონიკიძელი გურამ ჩერტკოევი, ნახევარფინალში მჭედლიშვილის პირისპირ სივცევი დადგა. თავიდან ჩვენი ფალავანი თამამად უტევდა, მაგრამ მესამე წუთზე შებოჭვით დამარცხდა. ბრინჯაოს მედლისთვის მჭედლიშვილი თენაძეს შეხვდა (ამ უკანასკნელმა პესნიაკთან მარცხის შემდეგ დამამშვიდებელ ჯგუფში ზედიზედ სამი წმინდა გამარჯვება მოიპოვა). თანაგუნდელთა შეხვედრა მჭედლიშვილის წმინდა გამარჯვებით დამთავრდა. მაყურებელი ინტერესით ელოდა პესნიაკისა და სივცევის ფინალურ შეხვედრას, მაგრამ სივცევმა ხაბარელის მსგავსად ტრავმა მიიღო და ფაქტიურად უბრძოლველად დათმო საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

## ანგარიში მინიმუმამდე შემცირდა

**როგორც** იცით, კასპაროვ — კარპოვის მატჩ-რევანშის მე-18 პარტია რთულ პოზიციაში გადაიდო. თეთრების (კასპაროვი) ეტლი მუქარის ქვეშ იყო, მისი „დახსნა" ტემპის დაკარგვას მოითხოვდა, რაც შესაძლოა საბედისწეროც გამომდგარიყო. სპეციალისტები იმასაც ვარაუდობდნენ, რომ ურიგო არ იქნებოდა კასპაროვს ჩაეწერა სვლა ე:g7, ხარისხის შეწირვით. მსოფლიო ჩემპიონს გამსვლელი პაიკის იმედი უნდა ჰქონოდა.

მაგრამ, როგორც ანალიზმა ცხადყო, მსოფლიოს ექსჩემპიონს დიდი უპირატესობა ჰქონდა და კასპაროვს გაუჭირდებოდა პარტიის გადარჩენა. ბოლოს, როცა მეტოქის მძლავრი შეტევის მოგერიება შეუძლებელი გახდა, კასპაროვმა საათი გააჩერა.

თამაში ასე გაგრძელდა: 41. ეh4 (ჩაწერილი სვლა) ეgd8 42. c4 ეd1+ 43. მფe2 ეc1 44. a6 ეc2+ 45. მფe1 ეa2 46. ეb6 ეd3 47. c5 ეa1+ 48. მფe2 ეa2+ 49. მფe1 g3 50. fg ე:g3 51. მფf1 ეg:g2 52. კe1 ეgc2 53. c6 ეa1 54. ეh3 f4 55. ეb4 მფf5 56. ეb5+ e5 57. ეa5 ეd1 58. a7 e3. თეთრები დანებდნენ.

ამრიგად, სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდა. ანგარიშია 9,5:8,5 გარი კასპაროვის სასარგებლოდ.

**გუშინ უნდა გათამაშებულიყო მატჩ-რევანშის მეცხრამეტე პარტია, მაგრამ იმის გამო, რომ კასპაროვმა აიღო მესამე, უკანასკნელი ტაიმ-აუტი, ეს პარტია 24 სექტემბრისთვისაა გადატანილი.**

* * *

**დღეს სოფიაში უნდა გაიმართოს მ. ჩიბურდანიძე — ე. ახმილოვსკაიას მატჩის მეშვიდე პარტია, რომელიც შაბათს უნდა შემდგარიყო. პირველი ტაიმ-აუტი აიღო ჩიბურდანიძემ.**

## ფედერაციის თასზე

**დაიწყო სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშება უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის, 21 სექტემბერს შედგა პირველი ტურის შეხვედრები.**

სასტარტო ტურის მატჩების შედეგები ასეთია: „ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (თბილისი) 0:0, „ნეფთჩი" (ბაქო) — „არარატი" (ერევანი) 1:3, „შახტიორი" (დონეცკი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 1:1, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 7:1.

ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" მატჩში ორივე გუნდის მწვრთნელებმა უმთავრესად ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოიყვანეს მინდორზე, ეს გამოწვეული იყო, ჯერ ერთი, იმით, რომ როგორც მასპინძლებს, ისე სტუმრებს საკმაოდ ჰყავთ დაშავებული ფეხბურთელები, გარდა ამისა, რამდენიმე მოთამაშე გაწვეულია სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში და, საერთოდ, ამ ახალი შეჯიბრების დებულება ახალგაზრდა ფეხბურთელთა საბრძოლო გამოცდასაც გულისხმობს.

ახალი თასის შეჯიბრება მიძღვნილია სსრ კავშირის საკლუბო ჩემპიონატების 50 წლისთავისადმი, მაგრამ შესაძლოა შემდგომში იგი ტრადიციად იქცეს, უმაღლესი ლიგის მწვრთნელები მომხრენი არიან, რომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასი ჩატარდეს რეგულარულად, ყოველ წელიწადს.

საყურადღებოა, რომ ამ გათამაშებაში ძალაში რჩება წესრივის დამრღვევი ფეხბურთელების მიმართ სსრ კავშირის ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მატჩებში გამოტანილი სანქციები, ე. ი. თუ ფეხბურთელს უწინ მიღებული ჰქონდა გაფრთხილება და ფედერაციის თასის მატჩშიც დაიმსახურა ყვითელი ბარათი, იგი გააცდენს მორიგ კალენდარულ შეხვედრას.

ქუთაისისა და თბილისის ფეხბურთელთა მატჩი ვერ გამოირჩეოდა სანახაობრივი თვალსაზრისით, მინდორზე მიმდინარეობდა უინტერესო პოზიციური ბრძოლა, ბურთი უმეტესად ცენტრში ტრიალებდა, მწვავე მომენტები არ შექმნილა არც ერთ კართან. ერთი სიტყვით, ნულოვანი ფრე ზუსტად შეესატყვისება თამაშის შინაარსს.

გუნდების შემადგენლობანი: **„ტორპედო" — მიქაძე, ფრუიძე, ჭელიძე, გიგატაძე, თევზაძე, პაპავა, კორღალიძე, ხუნდაძე, ტყავაძე, მანაგაძე, შენგელია; „დინამო" — ბალაძე, მიქაბერიძე, თარბა, ჩეკუნოვი, მახარაძე, გოგრიჭიანი, სვანაძე, ჟორდანია (ფანცულაია), ცაავა (ბიგვავა), გურული, რევიშვილი (ჯოხაძე). იმსაჯა თბილისელმა გ. სეფიაშვილმა.**

ფედერაციის თასის მე-2 ტურის მატჩები გაიმართება 26-28 სექტემბერს, თბილისის დინამოელები 28 სექტემბერს შინ მიიღებენ ბაქოს „ნეფთჩის", ხოლო ქუთაისის „ტორპედო" ერევანში შეხვდება „არარატს".

გუშინ შედგა ფედერაციის თასის I ტურის კიდევ 3 მატჩი.

## ევროპის ჩემპიონატი

**10 სექტემბერს დაიწყო ევროპის 1988 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები საკვალიფიკაციო ჯგუფებში.**

საბჭოთა ფეხბურთელები გამოდიან III ჯგუფში, სადაც მათთან ერთად ასპარეზობენ საფრანგეთის, ისლანდიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ნორვეგიის გუნდები.

1986 წლის შესარჩევი მატჩების კალენდარი ასეთია:

**10 სექტემბერი.** ისლანდია — საფრანგეთი 0:0

**24 სექტემბერი. ისლანდია — სსრ კავშირი**

**24 სექტემბერი.** ნორვეგია — გდრ

**11 ოქტომბერი. საფრანგეთი — სსრ კავშირი**

**29 ოქტომბერი.** გდრ — ისლანდია

**29 ოქტომბერი. სსრ კავშირი —** ნორვეგია

**19 ნოემბერი.** გდრ — საფრანგეთი

როგორც ვხედავთ, ჯგუფში ძლიერი გუნდებია თავმოყრილი ევროპის ახლანდელი ჩემპიონის საფრანგეთის ნაკრების მეთაურობით, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ისლანდიელებმა თავიანთ მინდორზე, რეიკიავიკში, ფრედ დაამთავრეს თამაში ევროპის ჩემპიონებთან (0:0), უნდა ვივარაუდოთ, რომ ბრძოლა პირველი ადგილისთვის, რომელიც ფინალში მონაწილეობის უფლებას იძლევა, მეტად საინტერესო და დაძაბული იქნება.

მომავალი მატჩისთვის ჩვენი ნაკრები ემზადებოდა მწვრთნელების ვ. ლობანოვსკის, ი. მოროზოვისა და ს. მოსიაგინის ხელმძღვანელობით (გუნდის უფროსი ნ. სიმონიანი). ნაკრების შემადგენლობა ასეთია: ვ. ბესონოვი, ო. ბლოხინი, ა. დემიანენკო, ა. ზავაროვი, ო. კუზნეცოვი, ვ. რაცი და ვ. ჩანოვი („დინამო", კიევი), რ. დასაევი, ვ. ხიდიატულინი, ს. როდიონოვი („სპარტაკი", მოსკოვი), გ. ლიტოვჩენკო, ო. პროტასოვი („დნეპრი", დნეპროპეტროვსკი), ა. ჩივაძე, თ. სულაქველიძე („დინამო", თბილისი), ნ. ლარიონოვი („ზენიტი", ლენინგრადი), ს. ალეინიკოვი („დინამო", მინსკი). რამდენიმე ფეხბურთელმა, კერძოდ, ი. ბელანოვმა, პ. იაკოვენკომ, ი. იარემჩუკმა, გ. მოროზოვმა, ს. გოცმანოვმა ტრავმების გამო ვერ შეძლეს საწვრთნელ შეკრებაში მონაწილეობის მიღება.

სამწუხაროდ, რეიკიავიკში გამგზავრების წინ, ბოლო ვარჯიშზე სერიოზული ტრავმა მიიღო ალექსანდრე ჩივაძემ.

## II ლიგა

**19 სექტემბერს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 24-ე ტურის მატჩები.**

„დინამო" (სოხუმი) — „დილა" (გორი) 3:0, „კოლხეთი" (ფოთი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 1:0, „შირაკი" (ლენინაკანი) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:0, „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) — „კოლხოზჩი" (აშხაბადი) 2:1, „ოლიმპია" (აშტარაკი) — „გიანჯლიკი" (ბაქო) 1:2, „ქიაფაზი" (კიროვაბადი) — „არაზი" (ნახიჩევანი) 6:0, „ავტომობილისტი" (მინგეჩაური) — „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) 3:1.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 23 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქიაფაზი" | 24 | 17 | 3 | 4 | 54-20 | 37 |
| „დინამო" ს. | 24 | 16 | 1 | 7 | 46-25 | 33 |
| „კოლხეთი" | 24 | 13 | 2 | 9 | 43-39 | 28 |
| „ლოკომ." ს. | 24 | 12 | 4 | 8 | 34-28 | 28 |
| „გიანჯლ." | 24 | 11 | 5 | 8 | 39-21 | 27 |
| „ავტომობ." | 24 | 12 | 2 | 10 | 48-33 | 26 |
| „მეტალურ." | 24 | 12 | 2 | 10 | 40-37 | 26 |
| „დილა" | 24 | 11 | 4 | 9 | 34-31 | 26 |
| „სპარტაკი" | 24 | 11 | 4 | 9 | 26-31 | 26 |
| „მეშახტე" | 24 | 9 | 5 | 10 | 27-29 | 23 |
| „ყარაბახი" | 24 | 10 | 2 | 12 | 40-38 | 22 |
| „ლოკომ." თბ. | 24 | 8 | 3 | 13 | 18-30 | 19 |
| „არაზი" | 24 | 7 | 5 | 12 | 19-42 | 19 |
| „შირაკი" | 24 | 7 | 3 | 14 | 18-33 | 17 |
| „კოლხოზჩი" | 24 | 7 | 2 | 15 | 23-38 | 16 |
| „ოლიმპია" | 24 | 4 | 3 | 17 | 18-52 | 11 |

### „სიჭაბუკის თასი"

**ქ. არტემოვსკში** (უკრაინა, დონეცკის ოლქი), დამთავრდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზის „სიჭაბუკის თასის" გათამაშება ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ უკრაინის, რსფსრ-ს, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქმენეთის გუნდები. „სიჭაბუკის თასის" მფლობელი გახდა უკრაინის ნაკრები, რომელსაც სპორტის დამსახურებული ოსტატი ფ. მედვიდი წვრთნის. მეორე ადგილის პრეტენდენტები იყვნენ სომხეთისა და საქართველოს გუნდები, დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს სომხეთის ფეხბურთელებმა (მწვრთნელი ი. ასატრიანი) — 2:0, საქართველოს ნაკრები (მწვრთნელი ო. უშვერიძე) მე-3 ადგილზე გავიდა.

სპეციალურმა ჟიურიმ შეადგინა ფინალური ტურნირის საუკეთესო მოთამაშეთა სია: მეკარე — დ. ლუკოშკინი (აზერბაიჯანი), მცველი — ი. ოჰანესიანი (სომხეთი), ნახევარმცველი — ლ. ნადარეიშვილი (საქართველო), თავდამსხმელი — ო. გოლოვანი (უკრაინა). ტურნირის საუკეთესო ბომბარდირია ა. სანკოვი — 5 გოლი.

## საქართველოს პირველობა

**20-21 სექტემბერს დაიწყო რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის II ეტაპის მატჩები I ლიგის გუნდებს შორის.**

### I-XII ადგილები

„არმაზი" (მცხეთა) — „სულორი" (ვანი) 3:2, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:1, „დინამო" (ზუგდიდი) — „ივერია" (ხაშური) 5:2, „კახეთი" (თელავი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 3:0, „შევარდენი"-სპი (თბილისი) — „შადრევანი" (წყალტუბო) 0:0, „ეგრისი" (ცხაკაია) — „მადნეული" (ბოლნისი) 2:3.

### XIII-XXIII ადგილები

„დურუჯი" (ყვარელი) — „დინამო" (გაგრა) 1:0, „იმედი" (თბილისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 0:0, „იმერეთი" (ქუთაისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:0, „მერცხალი" (მახარაძე) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 2:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) და „სქური" (წალენჯიხა) დღეს შეხვდებიან ერთმანეთს.

## პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

# სხვაობა კვლავ ორი ქულაა

არტურ იუსუპოვისა და ანდრეი სოკოლოვის მატჩში გათამაშდა მერვე და მეცხრე პარტიები. მერვე პარტია ყველაზე ხანმოკლე გამოდგა, სამ საათში სულ 28 სვლა გააკეთეს მეტოქეებმა და თანაბარ პოზიციაში ყაიმზე შეთანხმდნენ. პრეტენდენტებმა ახალინდური დაცვა გაითამაშეს. შავებმა (სოკოლოვი) მალე გაათანაბრეს პოზიცია, და თუმცა ორივე მხარეს შეეძლო ბრძოლა გაემწვავებინა, მეტოქეებმა მაინც დაზავება ამჯობინეს.

მეცხრე პარტია, რომელშიც მეტოქეებმა ფრანგული დაცვა გაითამაშეს, გადაიდო. შავებს (იუსუპოვი) დიდი მატერიალური უპირატესობა ჰქონდათ — სამი ზედმეტი პაიკი. ამიტომაც, თამაშის განუახლებლად სოკოლოვმა თავი დამარცხებულად ცნო.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 5,5:3,5 იუსუპოვის სასარგებლოდ.

### „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 38-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6-45"-დან:** 7 (კლასიკური ჭიდაობა), 8 (ტრეკზე ველორბოლა), 10 (წყალბურთი), 25 (საციგაო სპორტი), 33 (ფეხბურთი), 43 (ტურიზმი).

**„სპორტლოტო 5-36"-დან:** 3 (ბობსლეი), 4 (კრივი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 16 (საცხენოსნო სპორტი), 31 (ფარიკაობა).

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

ინდექსი 68488. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქაღალდზე, ხოშარაულის ქ., 89. უე 07541